თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №29

25 მაისი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხა თანდართული რედაქციით (დანართი N1);

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

საპრივატიზაციო ნუსხა

1. ქ.თეთრიწყაროში, თამარ მეფის ქუჩა N19 - ში მდებარე 3016 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (ს/კ 84.01.38.042 ყოფილი ცენტრალური ბიბლიოთეკა)

2. ქ. თეთრიწყაროში, კოსტავას ქუჩა N13 - ში მდებარე 160 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (ს/კ84.01.38.091) ყოფილი მონკავშირის შენობა).

3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში მდებარე 1135 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (ს/კ 84.04.45.065 ყოფილი საბავშვო ბაღი)

4.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში მდებარე 1619 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (განაშენიანების ფართი 180 კვ.მ საცხოვრებელი სახლი ყოფილი საბავშვო ბაღი ს/კ84.04.36.181)

5.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (ს/კ84.04.45.159 ყოფილი ბიბლიოთეკა)